ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №151880

ნომერი: AR141305

თარიღი : 12.04.2012

გაცემის თარიღი : 07.05.2012

გაცნობის თარიღი : 10.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , იმედაძის I ჩიხი N8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ლაშხი პ/ნ 01009005931
- თბილისი საბურთალოს ქ. N 7 ბ. 13

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ რამიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ბმა "ბაგები 2007"
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დიმიტრი გულისაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024026654

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/985
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.05.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.05.2011 წ №ნ/985 ბრძანებით ქ. თბილისში, იმედაძის ჩიხი №8-ში, ამხ. „ბაგები-2007“-ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.08.005.026), მშენებარე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებელობის ნებართვა (დამკვეთი: ამხ. „ბაგები-2005“), რომელიც ძალაშია 2012 წლის 04 მაისამდე. 23.12.2011 წ სამსახურის №3905 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო მშენებლობის ნებართვა დარჩა ძალაში.

12.04.2012 წ სამსახურს №AR141305 განცხადებით მომართა დამკვეთმა ამხ. „დელისი 2005“ (მიდობილი პირის ვ. ლაშხის სახით) და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკის (დასამთავრებლად მოთხოვნილი გონივრული ვადა) საფუძველზე.

სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილების ხელის შემშლელი გარემოებები არ არსებობს, ამასთან დამკვეთის მიერ შესრულებულია ნაკისრი ვალდებულება სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის თანხის გადახდასთან დაკავშირებით, 12.04.2012 წ №AR141305 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა საფუძვლიანია და შესაძლებელია დაკმაყოფილდეს. კერძოდ, შევიდეს ცვლილება 04.05.2011 წ №ნ/985 ბრძანებაში და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით – გაგრძელდეს დამატებით 6 თვით.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. ვ. ლაშხის 12.04.2012 წ №AR141305 ელექტრონული განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.05.2011 წ №ნ/985 ბრძანებაში. კერძოდ, მე-2 პუნქტში, მშენებლობის ვადის განსაზღვრის ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 04 მაისიდან 2012 წლის 04 მაისის ჩათვლით“, შეიცვალოს ჩანაწერით „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 04 მაისიდან 2012 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით“ და აღნიშნული აისახოს 04.05.2011 წ №ნ/985-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.05.2011 წ №ნ/985 ბრძანებასთან და 04.05.2011 წ №ნ/985-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.
4. 12.04.2012 წ №AR141305 განცხადებით წარმოდგენილი (ატვირთული) დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.

- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.